შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 418

14/01/2015

რიგი გადამხდელების მიმართ ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილის და "გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვინაიდან ვერ ხერხდება ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ დანართი N1-ში მითითებულ გადამხდელებზე გამოცემული ბრძანებების საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით ჩაბარება, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გადამხდელისათვის საჯარო შეტყობინებების მიზნით განხორციელდეს მათი საჯაროდ გავრცელება.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსების მიზნით, ადმინისტრირების დანართი N1-ში მითითებულ გადამხდელებზე გამოცემული ბრძანებები გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.
3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს დანართი N1-ში მითითებულ გადამხდელებზე გამოცემული ბრძანებების შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.rs.ge) გამოქვეყნება.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: გადახდევინების ღონისძიებების სამმართველოს უფროსის N142453-21-05, 26.12.2014 სამსახურებრივი ბარათი.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი